<u>დანართი N6</u>

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო და დანამატი

1. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას სრული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის – არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ–პროფესორისათვის – არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) სრული პროფესორი - თვეში 1000 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 800 ლარი;

გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 600 ლარი.

2. სრული პროფესორებისათვის, რომლებიც ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სრული დატვირთვისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის, სავალდებულო კვირეულ 8 საათიან სააუდიტორიო და 8 საათიან საკონსულტაციო დატვირთვას, ასოცირებული პროფესორებისათვის, რომლებიც ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სრული დატვირთვისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის, სავალდებულო კვირეულ 10 საათიან სააუდიტორიო და 10 საათიან საკონსულტაციო დატვირთვას და ასისტენტ-პროფესორებისათვის, რომლებიც ასრულებენ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, სავალდებულო კვირეულ 12 საათიან სააუდიტორიო და 12 საათიან საკონსულტაციო ყოველკვირეულ დატვირთვას, შრომით სამართლებრივ ურთიერთობას ახორციელებს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო პროექტებსა და გრანტებში მონაწილეობა) დანამატი განისაზღვროს:

ა) სრული პროფესორებისათვის - თვეში 2400 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორებისათვის – თვეში 2080 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორებისათვის – თვეში 960 ლარი;

3. იმ აკადემიურ პერსონალს, რომლის მინიმალური დატვირთვაა – სრული პროფესორისათვის – არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის

არანაკლებ – 6 საათი, ასისტენტ-პროფესორებს, რომლებიც ასრულებენ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, სავალდებულო 8 საათიან საუდიტორიო, 8 საათიან საკონსულტაციო ყოველკვირეულ დატვირთვას, დანამატი თანამდებობრივ სარგოზე განისაზღვროს:

ა) სრული პროფესორებისათვის - თვეში 300 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორებისათვის – თვეში 300 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორებისათვის – თვეში 435 ლარი.